ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება № 20.02.392

"7" ივნისი 2017 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვის და კონტროლის სისტემის შექმნის ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტის მოწონებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვის და კონტროლის სისტემის შექმნის მიზნით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარდგენილ განაცხადთა შემსწავლელი კომისიის შექმნის და კომისიის საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის ,,ა.ბ" ქვეპუნქტის, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 დეკემბრის №30-87 დადგენილების მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვის და კონტროლის სისტემის შექმნის ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტი (დანართი 1).
2. შეიქმნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვის და კონტროლის სისტემის შექმნის მიზნით ინტერესთა გამოხატვის თაობაზე წარდგენილ განაცხადთა შემსწავლელი კომისია (შემდგომში - კომისია) შემდეგი შემადგენლობით:

ა) კომისიის თავმჯდომარე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი;

ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე-მერი);

გ) კომისიის წევრი - სფეროს კურატორი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 378 254, ფაქსი: (+995 32) 378 202

დ) კომისიის წევრი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი;

ე) კომისიის წევრი - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელი;

ვ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი;

ზ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი;

თ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;

ი) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკნომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;

კ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;

ლ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

მ) კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

ნ) კომისიის წევრი - შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/კ 202886788) გენერალური დირექტორი;

ო) კომისიის წევრი - შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის" (ს/კ 202886788) გენერალური დირექტორის მოადგილე;

პ) კომისიის წევრი - არასამთავრობო ორგანიზაცია ა(ა)იპ „ფონდი პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის" (ს/კ 205175718) წარმომადგენელი;

ჟ) კომისიის წევრი - ა(ა)იპ „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისათვის" (ს/კ 404879146) წარმომადგენელი.

3. დამტკიცდეს კომისიის საქმიანობის წესი (დანართი 2).

4. ინტერესთა გამოხატვა დაწყებულად ჩაითვალოს ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

5. ინტერესთა გამოხატვის დოკუმენტი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდეს 2017 წლის 21 ივნისს.

6. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე ეთხოვოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ნარმანია